



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

დიზაინერთა კავშირი

დიზაინერთა შემოქმედებითი კავშირი, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ-შემოქმედებითი გაერთიანება.

დაარსდა 1987 თბილისში საქართვ. სახ. მხატვრის გ. წერეთლის ინიციატივით. აურთიანებს მხატვართა ინიციატივის, არქიტექტორებს, მეცნიერებს, პედაგოგებს. კავშირის მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს თანამედროვე დიზაინის მიღწევების პროპაგანდას, დიზაინერთა საავტორო უფლებების დაცვას სხვადასხვა ქვეყნის დ. კ-ებთან და საერთაშ. ორგანიზაციებთან შემოქმედებით და პრაქტ. კონტაქტებს.

კავშირი 8რუნავს დიზაინერთა პროფ. დაოსტატებაზე, მათი შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამომჟღავნებაზე. დ. კ-ის უმაღლესი ორგანოა საქართვ. დიზაინერთა ყრილობა (იწვევენ 5 წელიწადში ერთხელ), რ-იც ირჩევს აღმასრ. ორგანოს – გამგეობას, აგრეთვე სარევიზო კომისიას. გამგეობა, თავის მხრივ, ირჩევს კავშირის სამდივნოს, თავ-რეს და პ/მგ. მდივანს.

კავშირის პირველმა ყრილობამ (1987 წ. 3 სექტ.) აირჩია გამგეობა 50 წევრის, ხოლო სარევიზო კომისია – 5 წევრის შემადგენლობით. საქართვ. დ. კ-ის პირველმა საორგანიზაციო პლენუმმა აირჩია სამდივნო (7 წევრი) და თავმჯდომარე (გ. წერეთლი).

1988 წ. 15 მაისს საქართვ. სახ. მეურნ. მიღწევათა გამოფენაზე მოეწყო საქართვ. დიზაინერთა I რესპ. გამოფენა დევიზით „დიზაინი – ტრადიციები და თანამედროვეობა“. დ. კ-ში ეწყობა გამოფენები, ტარდება კონკურსები, სემინარები და კონსულტაციები ახალგაზრდა დიზაინერებთან.